

არქიტექტურული კონკურსის  
პროგრამა და პირობები

სასტუმროს ტიპის სახლი  
მოთხილამურე არქიტექტორთათვის  
საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტზე

საქართველო, თბილისი 2012 წელი

## კონკურსის ორგანიზატორები :

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი;

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი „SKIA“.

### 1. პრემბულა

1.1. კონკურსი ითვალისწინებს ისეთი შენობის დაპროექტებას, რომლის აგება შესაძლებელი იქნება საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე. პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი მიზმა კონკრეტულ ტერიტორიასთან.

საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტები გამოირჩევიან თავისი უნიკალური ლანდშაფტური მახასიათებლებით. მათ წარმოჩენას კონკურსში მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორია, რომელზედაც უნდა განთავსდეს საკონკურსო შენობა, ზოგადია.

### 2. კონკურსის მიზანი

2.1. კონკურსის მიზანია მოთხილამურე არქიტექტორთათვის სასტუმროს ტიპის სახლის ესკიზური პროექტის შექმნა.

### 3. ზოგადი დებულებები

3.1. კონკურსი ღიაა და ანონიმური; მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დიპლომირებულ არქიტექტორს და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტს.

3.2 კონკურსი ჩაითვლება შემდგარად, თუ საკონკურსოდ წარდგენილი იქნება სამი ან მეტი პროექტი.

3.3. კონკურსანტებს შეუძლიათ შეკითხვებით მიმართონ ორგანიზატორებს საკონკურსო თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მიიღონ პასუხები. შემდეგ მისამართზე: **თბილისი-0102, დ. აღმაშენებლის 89/24, მე-3 სართული, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, ელექტრონული ფოსტით archunion\_geo@yahoo.com ან ტელეფონით: 599-50-32-81 ან 2-33-71-63 (გოჩა მიქიაშვილი).**

#### 4. გასაცემი მასალა

4.1. კონკურსის პროგრამის და პირობების მიღება შესაძლებელია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ გვერდზე [www.archunion.ge](http://www.archunion.ge) ან საქართველოს არქიტექტორთა კავშირში ტელ.:2-91-01-16 ან 2-95-99-87 (ნუგზარ დუდუჩავა) . რეგისტრაცია უფასოა.

#### 5. კონკურსზე წარსადგენ მასალათა ჩამონათვალი

იმის გათვალისწინებით, რომ არქიტექტორთა კავშირი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს საექსპოზიციო მასალის დაბეჭდვას და გამოფენას, თითოეულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

5.1. კომპაქტურ დისკზე (CD) ჩაწერილი პროექტის ელექტრონული ვერსია PDF ან JPG ფორმატში (300 რეზოლუციით); პროექტი განთავსდეს ვერტიკალურად A1 ზომის მაქსიმუმ ორ ფორმატზე.

5.2 დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსდება ინფორმაცია ავტორის შესახებ. ორი ან მეტი ავტორის შემთხვევაში ნაჩვენები უნდა იქნეს მათ შორის პრემიის პროცენტული გადანაწილება.

5.3 განმარტებითი ბარათი (A4 ზომის ფორმატი, n12 შრიფტი, არაუმეტეს 3 ფურცლისა)

4 ეგზემპლარი.

5.4 კონკურსზე წარსადგენ ყველა მასალაზე (CD, დალუქული კონვერტი და განმარტებითი ბარათი) მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული უნდა იყოს არათანმიმდევრული ექვსნიშნა რიცხვით შედგენილი დევიზი, რომლის ციფრების სიმაღლე ერთი სანტიმეტრის ტოლი იქნება.

#### 6. პროექტის შემადგენლობა

1. გენერალური გეგმა მ. 1 :500;
2. ყველა განსხვავებული სართულის გეგმები მ. 1 :100;
3. ორი მახასიათებელი ჭრილი (ავტორების შეხედულების მიხედვით) მ. 1:100;
4. მინიმუმ ორი ფასადი მ. 1:100.
5. პერსპექტიული ჩანახატები ან რენდერები (მინიმუმ ორი);

## 7. კალენდარი

7.1 კონკურსის გამოცხადება 2012 წლის 9 იანვარს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის და სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდებზე: [www.archunion.ge](http://www.archunion.ge) და [www.gtu.ge/architecture](http://www.gtu.ge/architecture).

7.2 საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომია 2012 წლის 9 იანვრიდან.

7.3 საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადაა 2012 წლის 20 თებერვლის 17.00 საათი, დ. აღმაშენებლის 89/24, მე-3 სართული, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.

7.4 პროექტების გამოფენა გაიხსნება სამთო-სათხილამურო კურორტ ბაკურიანში 2012 წლის 24 თებერვალს;

7.5 ჟიურის მუშაობა: 2012 წლის 24 - 25 თებერვალს;

7.6 შედეგები გამოცხადდება - 2012 წლის 25 თებერვალს საღამოს 20.00 საათზე, SKIA-ს ჩემპიონატის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე.

7.7 გამარჯვებული კონკურსანტებისათვის პრიზებისა და პრემიების გადაცემა იწარმოებს საქართველოს არქიტექტორთა კავშირში გამგეობის უახლოეს სხდომაზე.

## 8. დისკვალიფიკაცია

კონკურსის პირობების (წარსადგენი საკონკურსო მასალების შემადგენლობა და ფორმატი, ვადები) დარღვევა წარმოადგენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციის საფუძველს.

## 9. პრემიები

9.1 კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

- I პრემია (არქიტექტორთა კავშირი) : ოფიციალური მოწვევა მონაწილის სტატუსით ვენეციის არქიტექტურის საერთაშორისო ბიენალეზე, 2012 წლის 25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე და ფულადი თანხა – 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარი;  
II პრემია (შპს „ინსტა“) – 1 500 (ათას ხუთასი) ლარი;  
III პრემია (კლუბი „SKIA“) – 1 000 (ათასი) ლარი.

9.2 ერთი რომელიმე პრემიის გადანაწილება რამოდენიმე პროექტზე დაუშვებელია.

## 10. ჟიური

10.1. ჟიური დაკომპლექტდება შვიდ წევრიანი შემადგენლობით „ბაკურიანი-2012“ შეკრება-სემინარის მონაწილე არქიტექტორთა კავშირის, უმაღლესი არქიტექტურული სკოლების, არქიტექტურული ფირმების წარმომადგენელთაგან.

### 10.2. ჟიურის მუშაობის რეგლამენტი

- ა. თავმჯდომარეს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ჟიური.
- ბ. ჟიურის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.
- გ. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უმრავლესობით.
- დ. გადაწყვეტილების გამოტანის მსვლელობას ჟიური აფიქსირებს ოქმში.
- ე. ოქმში მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს დაფიქსირებული ჟიურის წევრების დამოკიდებულება პროექტებისადმი (შესაბამისობა კონკურსის პროგრამასთან, შეფასების კრიტერიუმებთან, გეგმარებითი და მხატვრული დონე და ა.შ.). ოქმის ქსეროასლები გადაეცემა ნებისმიერ კონკურსანტს შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.

### 10.3. შეფასების კრიტერიუმები:

1. შესაბამისობა პროგრამასთან;
2. ფუნქციური გადაწყვეტა;
3. ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება;
4. არქიტექტურულ-მხატვრული დონე;
5. ორგანული კავშირი გარემოსთან;
6. ადგილობრივი მასალების გამოყენება.

10.4 ჟიურის გადაწყვეტილება მისი კომპეტენციის ფარგლებში საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## 11. კონკურსანტებისა და ორგანიზატორის პასუხისმგებლობა

### 11.1. დავების გადაწყვეტა

კონკურსის პროგრამას და პირობებს ხელშეკრულების ძალა აქვთ. ორგანიზატორებსა და კონკურსანტებს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11.2. საავტორო უფლებები:

ა. გამარჯვებული პროექტები და მათი ელექტრონული ვერსია (CD) გადადის ორგანიზატორების საკუთრებაში, რომელიც მათ იყენებს თავისი შეხედულებისამებრ ავტორთან (ავტორებთან) შეთანხმებით;

ბ. პროექტების პუბლიკაცია, საჯარო გამოფენა (გარდა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული შემთხვევისა) შესაძლებელია ავტორებთან შეთანხმებით.

გ. ყველა პროექტი წარმოადგენს «საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ» დაცვის საგანს.

## 12. დავალება დაპროექტებაზე

სასტუმროს ტიპის სახლი დაპროექტებული უნდა იყოს რელიეფისთვის ქანობით 10- 20 % - ის ფარგლებში.

### 12.1. ზოგადი მოთხოვნები:

- დაპროექტდეს მარტივი კონსტრუქციული სქემის შენობა ერთი კიბის უჯრედით;
- პროექტში გათვალისწინებულ იქნეს ღია ავტოსადგომი და ეზოს კეთილმოწყობა;
- შენობა დაგეგმარდეს არაუმეტეს სამი სართულისა + მანსარდა (მიწისპირა სართულის ჩათვლით).

### 12.2. სათავსების ნომენკლატურა :

შენობაში გასათვალისწინებელია ურთიერთკავშირის მქონე ცალკეული ფუნქციონალური ბლოკები, რომლებიც თავის მხრივ შეიცავენ სასტუმროსათვის საჭირო სათავსოებს:

#### ა) საძილე ბლოკი:

- სასტუმროს ტიპის სახლი გათვალისწინებული უნდა იყოს 20 ოთახზე, თითოეული სანკვანძითა და სამზარეულო ნიშით – 25-30 მ<sup>2</sup> ფართობით.
- საძილე ბლოკის თითოეულ სართულზე გათვალისწინებული უნდა იყოს დამხმარე სათავსოები პერსონალისთვის – 6 მ<sup>2</sup>;

#### ბ) საზოგადოებრივი დანიშნულების ბლოკი:

- მრავალფუნქციური (საკონფერენციო, საგამოფენო, სასადილო და ა.შ.) დარბაზი – 85-100 მ<sup>2</sup>;

- გასართობი ოთახი – 25 - 35 მ<sup>2</sup>
- ბარი – 10 - 15 მ<sup>2</sup>;
- სამზარეულო – 30 მ<sup>2</sup>;
- სასაწყობო მეურნეობა – 15 მ<sup>2</sup>;
- საერთო სარგებლობის ტუალეტები – 2 წერტილი- თითო 5 მ<sup>2</sup>.

**გ) მომსახურების ბლოკი:**

- სათხილამურო დეპო 50 ადგილზე – 15 მ<sup>2</sup>;
- პერსონალის ოთახი – 10 მ<sup>2</sup>;
- სამრეცხაო – 10 მ<sup>2</sup>;
- სასაწყობო მეურნეობა – 15 მ<sup>2</sup>;
- საქვაბე-საგენერატორო – 10 მ<sup>2</sup>;

**დ) ადმინისტრაციული ბლოკი:**

- მორიგე\_ადმინისტრატორი – 15 მ<sup>2</sup>;
- დამხმარე სათავსო – 10 მ<sup>2</sup>;

დასაშვებია მოცემული სარეკომენდაციო ფართების 5 %-ით ცვლილება.

**გისურვებთ წარმატებებს!**